

ნინო ფეტვიაშვილი

სამოდულო გაკვეთილი (რუსული ენა)

ნაწილი მეორე

მასწავლებლის მიერ უცხოენოვანი ტექსტის სწორად შერჩევა-მოძიება მნიშვნელოვანია მისი შინაარსის სრულყოფილად გაგებისა და სწორად აღქმისთვის, სწავლა/სწავლების ხარისხისა და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისთვის. სასურველია, ტექსტი ენობრივად მარტივი იყოს, კავშირი ჰქონდეს ნასწავლ თემასთან და შეესატყვისებოდეს მოსწავლეთა ემოციებსა და ინტერესებს (აქ იგულისხმება წინარე ცოდნა და შესაბამისი გრამატიკული თუ ლექსიკური მარაგი, რათა გაკვეთილი უფრო კომფორტულად და საინტერესოდ წარიმართოს), შეიცავდეს რაიმე ინფორმაციას, უარყოფითი ინფორმაციით არ იყოს გაჯერებული და დადებით გავლენას ახდენდეს მოსწავლეზე. თუმცა ყველა ამ ასპექტის გათვალისწინება ერთ მასალაში იოლი არ იქნება.

გაკვეთილი, რომელსაც გთავაზობთ, შეიძლება დაემატოს თემას «Внешность и характер». ის გულისხმობს ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმების ცოდნას. გაკვეთილი დიალოგის მოსმენა-გაგებაზეა ორიენტირებული და 45 წუთი ეთმობა. ტექსტს გთავაზობთ სრულად, შესაბამისი აქტივობებით, თუმცა ამ დიალოგის გამოყენება კითხვის უნარის განსავითარებლადაც შეიძლება - საკმარისი იქნება რამდენიმე აქტივობის შეცვლა.

გამოწვევა:

ამ ფაზაში მასწავლებელს შეუძლია ჩაატაროს პატარა აქტივობა უცნობ ლექსიკურ ერთეულებზე, რომლებიც მოსწავლეებს დიალოგში შეხვდებათ. რეკომენდებულია სიტყვებისა და ფრაზების ახსნა რუსულ ენაზე სინონიმების, ანტონიმების გამოყენებით (ან არავერბალურად, წინასწარ მომზადებული ბარათებითა და სხვა ვიზუალური საშუალებებითაც).

შემდეგი ფაზა:

- მასწავლებელი ინსტრუქციას აძლევს მოსწავლეებს. უხსნის, როგორ შეავსონ დიაგრამა.

Прослушайте диалог. Выпишите сходную и отличающуюся информацию, которую вы узнали о Мари и Кристине.

- მასწავლებელი კითხულობს დიალოგს.

- მოსწავლეები ავსებენ დიაგრამას.
- ინსტრუქცია: Прослушайте диалог еще раз и проверьте ваши записи.
- მოსწავლეები კითხულობენ ჩანაწარებს, ბოლოს მასწავლებლის დახმარებით დაფაზე ავსებენ საერთო დიაგრამას.
- დავალება წყვილებში: Используйте записи и подготовьте информацию о Мари и Кристине. Расскажите о Мари и Кристине (ამ დავალების შესრულება შეუძლიათ ზეპირადაც და წერილობითაც, მასწავლებლის შერჩევით).
- წყვილები მსჯელობენ, ახასიათებენ გოგონებს.
- საშინაო დავალება: Напишите, что вы узнали о Мари и Кристине.

Диалог

Мари: Здравствуй, Маша! Помоги мне, пожалуйста!

Маша: А что случилось?

Мари: Хотела передать Кристине ее тетрадь по географии, но я не смогу с ней встретиться: должна пойти к зубному врачу, очень зуб болит.

Маша: Так позвони ей и извинись.

Мари: Звонила уже, но никто не отвечает. Она будет ждать меня через час возле вокзала.

Маша: Какого вокзала?

Мари: Автовокзала. Ты не могла бы с ней встретиться и передать тетрадь?

Маша: Постараюсь. А как она выглядит?

Мари: Она высокая, у нее светлые волосы.

Маша: Не очень-то точное описание. Она выше тебя?

Мари: Да, конечно, выше. Она самая высокая в классе.

Маша: А волосы у нее такие же светлые, как у тебя, или темнее?

Мари: Нет, кажется, еще светлее. И немного длиннее, чем у меня.

Маша: А глаза какие?

Мари: Ярко-голубые. Большие.

Маша: Больше, чем у тебя?!

Мари: Да, больше! И вообще, она самая красивая девочка в классе.

Маша: А как она будет одета?

Мари: На ней, наверное, будут темно-синяя спортивная куртка, светло-голубые джинсы и белые кроссовки.

Маша: Довольно трудно узнать. Может быть, у нее есть какие-то особые приметы? Может, она носит очки?

Мари: Нет, но она, возможно, будет с собакой.

Маша: Какая у нее собака? Маленькая или большая?

Мари: Маленькая, меньше, чем наш Рики. Темно-серого цвета, темнее, чем твой Джонни.

Маша: А шерсть длинная или короткая?

Мари: Средняя: длиннее, чем у Рики, но короче, чем у нашего Джонни. В общем, такая маленькая лохматая симпатичная дворняжка. Очень добрая!

Маша: А по-русски твоя Кристина говорит?

Мари: Да, говорит. У нее хороший русский язык. Лучше, чем у меня.

Маша: Ладно, попробую выполнить твою просьбу. Давай тетрадь.

Мари: Спасибо тебе. Я пойду, а то уже не могу терпеть: очень больно.

Маша: Пожалуйста. Вечером позвони.

Мари: Обязательно!

МАРИ ОБЩЕЕ КРИСТИНА



Данный диалог связан с изучением грамматической темы «Имя прилагательное», в частности степеней сравнения, поэтому уместным будет и составление «грамматической диаграммы».

შეფასების რუბრიკა:

N	მოსმენა-ლაპარაკი	ქულა
1.	ამოიცნობს პერსონაჟებს;	0-1-2
2.	ეყრდნობა ნაცნობ სიტყვებს ზოგადი შინაარსის გასაგებად;	0-1-2
3.	ახასიათებს მთავარ გმირებს სწორი გრამატიკული კონსტრუქციების გამოყენებით;	0-1-2
4.	შინაარსიდან გამოაქვს დასკვნა მთავარი გმირების შესახებ.	0-1-2
5.	შეუძლია ინფორმაციის გამიჯვნა- გააზრება	0-1-2

N	წერა	ქულა
1.	აღწერს სიტუაციას.	0-1-2
2.	თანმიმდევრულად გადმოსცემს გმირის ამბავს.	0-1-2
3.	ინფორმაცია პერსონაჟის შესახებ სრულია.	0-1-2-3
4.	სწორად იყენებს გრამატიკისა და ორთოგრაფიის წესებს.	0-1-2-3